სამშაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 8 (21) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

№ 173 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 173

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპიროობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველი მარიამობიდან წლის დამლევამდე 10 მან. [illegible] ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილი იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

ჩინეთმა გერმანეთსა და ავსტრო-უნგრეთს ომი გამოუცხადა.

კავკასიის ფრონტზე ოსმალთა იერიშები გრძელდება.

გამოქვეყნდა რომის პაპის საზავო ნოტა.

მინსკის ევაკუცია დაიწყეს.

ყოფილი მეფე ნიკოლოზი სახლობით, ტობოლსკში გადაიყვანეს.

---

დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა უკრაინის სეკრეტარიატის დროებითი კონსტრუქცია.

ფინლიანდიაში მდგომარეობა მწვავდება. სენატორი ტოკაი გადადგა.

დროებით მთავრობამ სტახოვიჩს სენატის წინააღმდეგ ძალის ხმარება დაავალა.

ჰელსინგფორსში დიდი უწესოება... მოხდა სროლა მილიციონერებსა და მეამბოხეთა შორის, არიან დაჭრილებიც.

## წერილები

მეთაური. ქალაქის საბჭო და სოციალისტების ეგზამენი.

ს. გორგაძე. კათოლიკოზის არჩევნები.

ქართული პრესა:

არმანი. ჰლექი ასული (ლექსი).

---

მთავარდიაკვნის ბაკურაძის წერილის გამო.

კორესპონდენციები აჭარიდან და სამურზაყანოდან.

---

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის.

აგრარული მოძრაობა კავკასიაში.

მოსკოვის უნივერსიტეტი.

საქართველოს საეკლესიო კრების წესრიგი.

**საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის გუბ. კომიტეტი**

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, გარდაიცვალა

**გიორგი ფელიქსეს ძე ზდანოვიჩი**

გამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

4—793—3

სამშაბათს, 15 მარიამობისთვეს, გარდაცვალებიდან იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

**კნ. სალომე (გოგუცა) ალექსანდრეს ასულის ციციშვილის**

სულის მოსახსენებლად სოფ. ზემო-ნიჩბისში,

რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე თავ. კონსტანტინე გრიგოლის ძე ციციშვილი. სადგურ ქსანზედ მომსვლელთ დახვდებათ (ცხენები და ურმები თოთხმეტს დილიდან საღამომდის და ერთი მეტ—დილით.

1—743—1

**ხელისმომწერთა და აგენტებთა საყურადღებოთ**

გაზეთ „საქართველოს" კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიამობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვსთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

**„საქართველო"-ზე ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი", რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო" ურიგდება ხელის მომწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიური ხვედრ ფულს სრულიად არ შემოიტანს კანტორაში 10 აგვისტომდე, მას რედაქციის განკარგულებით გაზეთის გზავნა მოესპობა და კანტორა დარჩენილ ფულის ასაღებად ზომას იხმარს.

5—უ—5 კანტორა „იმერეთი".

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი**

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სათავად-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმგეობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტერკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

751

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კილაძოზიშვილთან.

[illegible]

მოსე ანტონის ძე

**ქალანდარიშვილი**

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებათ ავადმყოფებს იღებს

**მანგლისში**

საკადეტო კორპუსის ბანაკში

**ექიმი მ. ი. მაჩაბელი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

**ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი მ. მ. მუხაძე**

იღებს ხალხ[illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—7)

**ექიმი ქალისა ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ნერჩქეხოშვილის და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

**ექიმი ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სახეებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროპავლოვსკის ქუჩა № 7.

**ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—1

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ქ უ თ ა ი ს ი

**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან**

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზმულ სიტყვიერე ბითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) გ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) ს. რ. გორგაძის რედაქტორობით. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა.
4) იპ. ვართაგავა. შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. ზაალიშვილი. არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჰიჰინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) მიხ[illegible]. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—7)

16 მარიამობისთვეს, 1917 წელ. დანიშნულია

**წლიური კრება თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა**

დღიური წესრიგი:

1. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1915 წლის ანგარიშის შესახებ.
2. 1916 წლის ანგარიში.
3. მოხსენება საბჭოსი 1916 წლის ანგარიშის შესახებ.
4. მოხსენება გამგეობისა სესხზე სარგებლის დაკლების შესახებ 11-დან 10-დი.
5. მოხსენება გამგეობისა ვადით შემოტანილ ფულზე სარგებლის დაკლების შესახებ.
6. მოხსენება გამგეობისა გირავნობის ქვეშ სესხის გაცემის თაობაზედ.
7. მოხსენება საბჭოსი რწმუნებულთა კრების შემოღების შესახებ ნაცვლად წევრთა კრებისა.
8. არჩევა გამგეობის ერთი წევრისა ნაცვლად კიკვიძისა და საბჭოს 7 წევრისა ნაცვლად მ. ამილახვარისა, მ. ხომიზურაშვილისა, ლუკა კიმოთიძისა, ს. ყურაშვილისა, ა. ყურაშულაშვილისა, ა. თუშიშვილისა და ნ. ორჯოდაშვილისა, რომელთაც წლის სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

კრება რომ კანონიერი იყოს საჭიროა დაესწროს არა ნაკლებ 250 ამხანაგისა.

გამგეობა თელავის შემნ.-გამს. ამხანაგობისა.

1—728—1

**ახალი საკრებულო**

საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

სამშაბათს, 8 აგვისტოს

**სიმებიანი ორკესტრის კონცერტი**

დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, ქართული წარმოდგენა.

1—727—1

## თბილისი, მარიამობისთვის 8.

### ქალაქის საბჭო და სოციალისტების ეგზამენი

თბილისის საქალაქო არჩევნებში გამარჯვება დიდ ვალს აკისრებს სოციალისტურ პარტიებს.

მათი ამომრჩეველნი ალბად მოელიან, რომ ხმოსანი სოციალისტები განახორციელებენ თავიანთი სარევოლუციო და სასოციალიზმო შემოქმედებით იმ დაპირებებს, საარჩევნო პროკლამაციებში რომ ეწერა.

მაგრამ სოციალისტების ტრაგედია და უბედობა ის არის, რომ ეგზამენის დაჭერა მათ სწორედ „შაბათ" დღეს უხდებათ!

სოციალისტების იდეოლოგია ხომ საწარმოვო ძალთა განვითარებაზე და გაძლიერებაზეა აშენებული,—მათ კი სწორედ წარმოების დაშლის და ნგრევის დროს უხდებათ ქალაქის მმართველობა.

ერთად ერთ შესაძლო სოციალისტური რეფორმა ახლა ის არის, რომ „საჭმელ-სასმელი" ერთ და იმავე ფასით იქნება ყველა მოქალაქე!, მაგრამ ასეთნაირი „ერთობა" ხომ არც ისე მიმზიდველია!

თბილისის ქალაქის საბჭოს კასსა ცარიელია: ვინ უნდა გაავსოს იგი? მარტო „ბურჟუაზიას" ხომ ვერ დააკისრებენ ამ მოვალეობას, პროლეტარიატსაც დააწვება ახალი გადასახადის სიმძიმე. ამას გარდა სოციალისტური საბჭო ვერ წავა თავის ამომრჩეველ მუშების და მოსამსახურეების ხელფასის მომატების წინააღმდეგ და სამაგიერო თანხას ტრამვაისა და წყალის ფასის აწევაში მოძებნის.

ამგვარად, ყველაზედ უფრო ფართო სოციალურ და პოლიტიკურ დაპირებათა პარტიები ნამდვილად ყველაზედ უფრო ნაკლებად მიაღწევენ პრაქტიკულ ბედნიერებას.

ასეთია ულმობელი ისტორიის წინააღმდეგობანი, რომელსაც ვერ შესცვლის ვერავითარი ნებისყოფა, გინდ ბოლშევიკური, გინდ მენშევიკური.

### კათალიკოზის არჩევნები

როგორც გაზეთებმაც აღნიშნეს, კათალიკოზის არჩევნები 15-ს აგვისტოს აღარ მოხდება; შეიცვალა თვით არჩევნების წესიც: წინეთ განზრახული იყო პირდაპირი არჩევნები სამრევლოებში, ახლა კი სამრევლოები მხოლოდ ამომრჩევლებს აირჩევენ 27 აგვისტოს, ხოლო კათალიკოსის არჩევნები მოხდება საეკლესიო კრებაზე 8 სექტემბერს. შესაძლოა ეს რიცხვი კიდევ შეიცვალოს,—ეს გარემოებაზე ჰკიდია, და ჩვენც ამაზე არა გვსურს ლაპარაკი, არამედ იმ წესზე, რომელიც დროებითმა მმართველობამ ამ საქმისთვის შეიმუშავებია. ამ წესს სათაურად აწერია: „საკათალიკოზოს კრების წევრთა არჩევნები", რომელიც 18 მუხლისაგან შედგება.

ამ „წესებით" არჩევნები კრების წევრებისა პირდაპირია, მაგრამ თვით ამომრჩეველნი ორ კურიად არიან გაყოფილნი: ერისგანნი ცალკე ირჩევენ თავის წარმომადგენლებს (ორი ათასი კაცი—ერთს წარმომადგენელს=§ 8), ხოლო სამღვდელოება—ცალკე (§ 14).*) ამასთანავე „წესებში" ნათქვამია, რომ „მედავითნენი არჩევნებში უერთდებიან ერისკაცებსო" (მე-14-ე მუხლ. შენიშვნა).

ჩვენა გვგონია, ასეთი დანაწილება არც ეკლესიის დედა აზრს შეეფერება და ფაქტიურადაც უხერხულია. როგორც მოგეხსენებათ, მღვდელი განუყრელი ნაწილია იმ ზნეობრივ სარწმუნოებრივის კავშირისა, რომელსაც „სამრევლო ეკლესია" წარმოადგენს; ესევე ითქმის მთავარდიაკვნებზე და მედავითნეებზედაც. ამიტომ, როცა სრულდება ისეთი საქმე, რომელიც მთელს ეკლესიას შეეხება და არა მისს რომელსამე პროფესიონალურს ჯგუფს, უეჭველია ეს საქმე მთელი ეკლესიის მიერ ერთად და განუყრელად უნდა სრულდებოდეს და არა ცალ-ცალკე. ასეთი საქმეა სწორედ სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების წევრთა არჩევა,—და ამიტომ ამ საქმეში მღვდელი, მთავარი, მედავითნე და ერი—ყველა ერთად უნდა მოქმედებ-

*) უფრო სისწორით, რომ აღვნიშნოთ, „წესებში" მესამე კურიაც არის დასახელებული: მონასტრები, რომელნიც მთელი ეპარქიიდან ორს წარმომადგენელს ჰგზავნიან კრებაზედაო (16).

ს. გ—ძე.

დეს, ერთად უნდა იხდიდეს ვალს, ერთად უნდა გამოსთქვამდეს თავის ნდობას თუ უნდობლობას ამოსარჩევი წარმომადგენლების შესახებ, სულ ერთია მღვდელი იქნება ეს წარმომადგენელი, თუ ერისგანი. ამას გარდა, არც ის არის მთლად ტაქტიკური, რომ მედავითნეები გამოყოფილი არიან „სამღვდელოების“ წრიდან: ამას შეუძლია გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს ჩვენს „დემოკრატიულს“ ხანაში.

ყოველივე თქმულის მიხედვით, ჩემის ფიქრით დასახელებულ „წესებში“ აღნიშნული მუხლები უსათუოდ უნდა შეიცვალოს,—თუ როგორ, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ახლა-კი ყურადღებას მივაქცევ იმავე წესების მე-9-ე მუხლს, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ასარჩევ წარმომადგენელთა კანდიდატებს“ წინდაწინვე ასახელებს „საოლქო საბჭო“ სამრევლო საბჭოებთან შეთანხმებითო. თუ მხედველობაში მივიღებთ დროის სიმცირეს, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ საოლქო საბჭოებს სრულებით დრო არ დარჩებათ სამრევლო საბჭოებთან წინასწარ შეთანხმდენ ასარჩევ კანდიდატთა დასახელებაში; ცხადია, ფაქტიურად ასარჩევ კანდიდატთა დამსახელებელი მარტო საოლქო საბჭოები იქნებიან,—ეს მით უმეტეს, რომ სამრევლოთა უდიდეს ნაწილში ჯერ-ჯერობით საბჭოები არც არსებობს. მაშასადამე ვისაც საოლქო საბჭო მოინდომებს, იმას გაიყვანს საეკლესიო კრების წევრად; ეს-კი სრულიად არღვევს არჩევნების დედა-აზრს და თვით წარმომადგენლობითის პრინციპს. ამგვარ წესს ისევ ორსაფეხურიანი (ორხარისხოვანი) არჩევნები სჯობია, სახელდობრ: სამრევლოებში აირჩიონ მხოლოდ ამომრჩევლები, რომელნიც შეიკრიბებიან საოლქო საბჭოში და აქ აირჩევენ საეკლესიო კრების წევრებს. მართალია, აქ დაირღვევა პრინციპი პირდაპირის არჩევნებისა, მაგრამ სამაგიეროდ ისე ფართო ადგილი აღარ ექნება საოლქო საბჭოს მიერ ძალდატანებას, რადგან ოლქში შეკრებილს ამომრჩევლებს საშუალება ექნებათ ერთმანეთთან მოლაპარაკებით, გამოკითხვით, საკუთარის დაკვირვებითა და შეგნებით აირჩიონ თავისი წარმომადგენელი საეკლესიო კრებაზე, და არა ზემოდან, საოლქო საბჭოს ჩაგონებით.

საქმის ტეხნიკური მხრის გასაადვილებლად და გასამარტივებლად საჭიროა მე-6 მე-7 და მე 8 მუხლებიც შეიცვალოს, სადაც ლაპარაკია ოლქზე, როგორც ძირითად საარჩევნო ერთეულზე და ნათქვამია, რომ „ოლქი, რომელშიაც ორი ათასამდე ამომრჩეველია, ჰგზავნის კრებაზე ერის წარმომადგენელს, სადაც ორი ათასიდან ოთხი-ათასამდე—ორს, ხოლო თუ მეტია—სამსო“. ამ წესით წარმომადგენლობის მოწყობა ფრიად რთულსა და საკმაოდ ძნელს სტატისტიკას მოითხოვს, რისთვისაც საოლქო საბჭოებს დრო აღარ დარჩენიათ. ამას გარდა, არც ის არის დასავიწყარი, რომ ეკლესიაში თვითეული „სამრევლო“, მიუხედავად წევრთა რაოდენობისა, ისეთივე სარწმუნოებრივი ერთეულია, როგორიც დანარჩენი სამრევლოები, იმავე საეკლესიო იურიდიულის უფლებებითა და ვალდებულებებით; ამიტომ არსებითად ეკლესიის დედა-აზრის დამამცირებელი არ იქნება, რომ საეკლესიო კრებებზე (როგორც საეპარქიო კრებაზე, ისე საკათალიკოსოზე) წარმომადგენლების არჩევის დროის ძირითად საარჩევნო ერთეულად მიღებულ იქმნას არა უსათუოდ მორწმუნეთა თანაბარი რაოდენობა (ათასობითა და ორი ათასობით), არამედ ის პატარა საეკლესიო ორგანიზმები, რომელთაც სამრევლოები წარმოადგენენ.

ერთი სიტყვით, ჩვენი აზრი ასეთია: ყოველი სამრევლო ირჩევს სამ-სამს ამომრჩეველს: ერთს ეკლესიის კრებულიდან (ე. ი. მღვდელს, მთავარს, ან მედავითნეს, რომელსაც მრევლი უფრო ნდობითა და პატივისცემით ეპყრობა) და ორს ერისგანთაგან. შემდეგ ეს ამორჩეული პირები ყველა სამრევლოებიდან შეიკრიბებიან ოლქის საბჭოში და აქ აირჩევენ საეკლესიო კრების წარმომადგენლებს იმავე რაოდენობითა და პროპორციით, ე. ი. ერთს კრებულის წევრს, (მღვდელს, მთავარს, ან მედავითნეს) და ორს ერისგანს. *)

*) ძირითად ერთეულად (მსგავსად მრევლისა) უნდა მიღებულ იქმნას მონასტერიც და საოლქო კრებაზე გაგზავნოს თითო წარმომადგენელი (თუ მონასტერში ერთად ერთი ბერია, როგორც მაგალითად ამაზში, ან ჯვარში,—ესეთი ბერი თვითონ გამოცხადდეს საოლქო კრებაზე და ყველა ამომრჩეველთან მიიღოს მონაწილეობა საეკლესიო კრების წევრთა არჩევნებში). კრების წევრად შეიძლება არჩეულ იქმნას სამღვდელოების მხრით მღვდელ-მონაზონიცა და ბერ-დიაკონიც, ხოლო ერისგანთა მხრით უბრალო მორჩილიც, თუ კი საოლქო კრება მათ უფრო ნდობის ღირსად ჩასთვლის, ვინემ ჩვეულებრივს სამღვდელოებას. ცალკე საკუთარი წარმომადგენელი ბერებისაგან კრებაზე, ჩვენის ფიქრით, აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს. ვიმეორებთ, ეკლესია ერთია და საეკლესიო კრების წევრთაც ერთად უნდა ირჩევდეს და არა ცალ-ცალკე კურიებად.

სამრევლო არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მარიამობისთვის 20-ისათვის, ხოლო საოლქო—27-ისათვის. ოლქში არჩეული წარმომადგენლები შემდეგ პირდაპირ გამოცხადდებიან საეკლესიო კრებაზე 8 სექტემბერს—კათალიკოზის ასარჩევად და მთელის ეკლესიის მართვა-გამგეობის ძირითადი წესების დასამუშავებლად.

რამდენადაც ვიცით, ამ თვის 12-ისათვის თბილისში განზრახულია წინასწარი თათბირის მოწყობა ყველა საეპარქიო კომიტეტების წარმომადგენელთა და აქაური საზოგადოებრივის ორგანიზაციებისა, მომავალი კრების შესახებ. არ იქნება ურიგო, ამ თათბირმა აღნიშნულ „წესებს“ გადახედოს და შიგ ის ცვლილებანი შეიტანოს, რომელნიც ზემოთ ავნუსხეთ. უკეთუ თათბირის წევრები ამას ინებებენ, ვეცდებით უფრო დაწვრილებითი მოსაზრებანი სიტყვიერად მოვახსენოთ.

**ს. გორგაძე.**

## ქართული პრესა

**სოციალისტ ფედერალისტების „ტაქტიკის“ გაკვეთილები.**

სოც.- ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის რწმუნებული—გამომცემელი გაზეთი „სახალხო საქმისა“, ბ-ნი სამსონ ფირცხალავა ახასიათებს რუსის დემოკრატიას და ამბობს:

„უკანასკნელმა ვერ გამოჰქდა რუსეთის პოლიტიკური და კულტურული სიძლიერე, ვერ შექმნა მისი მთლიანობა და სიმტკიცე. ერთად ერთი გზაა დარჩენილი—ყოველი ერი თავის-თავს დაეპატრონოს. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ ამ თავისუფლებაზე აღმოცენდება უკეთესი რუსეთი, არა რუსეთი მარტო რუსის ერისა, არამედ თავისნებისყოფით შეკავშირებული თავისუფალ ერებისა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რუსეთის რევოლუციის გამარჯვება, ამ გზით მოხერხდება რუსეთის მთელ ანაბის დაცვა.

ის პოლიტიკა კი, რომელსაც დღეს მისდევს რუსის მმართველი დემოკრატია, სრულს უნდობლობას და სიძულვილს იწვევს რუსეთისადმი და ამნაირ მდგომარეობაში ყოველი ერის ყური და თვალი აუცილებლად გარეთ იქნება მიქცეული...

ეს ნურავის გაუკვირდებაო“.

ძალიანაც რომ გასაკვირია, თუ მოვიგონებთ რა დიდ იმედებს ამყარებდენ ჩვენი ფედერალისტები თავის „მონათესავე“ რევოლუციონერთა პარტიის ხელში მყოფ რუსის დემოკრატიაზე.. საგაზეთო მეთაურებს რომ თავი დავანებოთ, მოიგონეთ რაებს ქადაგებდა თავის საკინემატოგრაფო სეანსებზე მომავალი „პრივატ-დოცენტი“ რუსის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაზე და რა თავგიდებით უპასუხებდა ნაციონალ-დემოკრატ-ოპონენტების სკეპტიკურ შენიშვნებს ბ-ნი გრიგოლ რცხილაძე. ახლა კი „გარედ“ იხედებიან!

შეიძლება, უკრაინის ფედერალურ დემოკრატიაზე გადაიტანეს თავისი იმედები?!

კიდევ ბევრ „კანონსა“ ეწვევიან ჩვენი ფედერალისტები სანამ ქართულ კარებს მონახავდნენ.

* *

**სოციალ-დემოკრატიისა და დაშნაკცუტიუნის წარსული განწყობილებიდან.**

თბილისის საქალაქო არჩევნების დროს სოც.-რევოლუციონერებმა ბრალი დასდეს სოც.-დემოკრატებს, 1912 წელს თქვენ თითონ იმ „დაშნაკცუტიუნებთან იყავით ბლოკში, რომელსაც ახლა ამხილებთო.

ახლა გაზეთ „ერთობაში“ ბ-ნი ზ. დათიაშვილი პასუხს აძლევს ამ ბრალდებას. მოგვყავს ეს პასუხი სავსებით:

საარჩევნო ბრძოლის დროს, ამბობს ბ-ნი ზ. დათიაშვილი ჩვენი ბური ესერები წყალ გამოღმა შემოგვეხვივნენ და ერთ კრებაზე გვითხრეს, თითქო ჩვენ 1912 წელს, მეოთხე სახ. დუმის არჩევნებში ბლოკით შევკვროდით დაშნაკელებს. მათ მაშინვე მიიღეს ამაზე შესაფერი პასუხი, მაგრამ ახლა „კავკაზსკოე სლოვო“-ში ისევ იმეორებენ ამ ჭირს, რითაც ერთობ გაუხარებიათ ჩვენი ნაციონალისტები.

რაშია საქმე?

1912 წლის საარჩევნო კომპანიის დროს თფილისის საგუბერნიო საარჩევნო ბიუროში ამხ. არ. ერზიკიანცმა განაცხადა, რომ მას იმ დღეს შეხვდა ერთი დაშნაკელი და გადასცა მათი კონფერენციის თუ თათბირის დადგენილება, რომლის ძალითაც თფილისის გუბერნიაში, სადაც მათ თავის კანდიდატის წამოყენება არ შეუძლიათ, ხმა უნდა მისცენ სოც.-დემოკრატებს, რომ შოვ ნისტი ან შავრაზმელი არ გავიდესო. ამასვე თხოულობენ ისინი ბაქოს გუბერნიაში ჩვენის მხრითო და გვთხოვეს მოლაპარაკებაო. საარჩევნო ბიურომ მე და ერზიკიანცს მოგვანდო მოლაპარაკება და იქვე განვმარტა ლაპარაკის შინაარსიც: მათ დახმარებას თფილისში იმ მხრით, რომ ხმა ჩვენ მოგვცენ, რასაკვირველია ვღებულობთ, ხოლო რაც შეეხება ბაქოს გუბერნიას, ეს საოლქო კომიტეტის საქმეა, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია ვუთქვათ, რომ ამისთვის არავითარი პირობა არაა საჭირო, უამისოთაც ჩვენ იქაურ ხმას დაშნაკელები მიიღებენ ჩვენი სარუსეთო კონფერენციის დადგენილების ძალით, რაც ჩვენ გვავალებს: ყველგან, სადაც ჩვენ კანდიდატს ვერ წამოვაყენებთ ხმა მივსცეთ ლიბერალებს და საზოგადოდ უფრო მემარცხენეთ მემარჯვენეების წინააღმდეგ. მეორე დღეს ჩვენ შევიარეთ „ორიზონის“ რედაქციაში და განუმარტეთ ყველაფერი რითაც ისინი კმაყოფილი დარჩენ. ამავ დროს უთხარით, რომ ამ საუბარს მაინც შევატყობინებთ საოლქო კომიტეტსთქო, რომლის რეზიდენციაც მაშინ ქუთაისი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ საოლქო კომიტეტიდან თბილისში ჩამოვიდა თვით თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და მაგვითითა განმარტებაში დაშვებულ ერთ შეცდომაზე იმ შემთხვევაში, თუ ბაქოს გუბერნიაში დაშნაკელს და შავრაზმელს გარდა ესერის კანდიდატი იქნებოდა წამოყენებული. ამხ. ერზიკიანცმა დაგვარწმუნა, რომ იქ ესერის კანდიდატი არ იქნებაო, მაგრამ ნოემ მაინც საჭიროდ დაინახა ხელმეორედ გაგვემარტა დაშნაკელთათვის, რომ თუ ესერის კანდიდატი იქნებოდა ბაქოში, ჩვენი ხმა მისთვის უნდა მ გვეცა დაშნაკთა წინააღმდეგ, მაშინაც კი, თუ დაშნაკელები თავის ხმას თფილისში ჩვენ მოგვცემდენ. ეს იმავე დღეს განვუმარტეთ დაშნაკელებს და მათაც საწინააღმდეგო არა უთქვამთ რა. და ასე, ჩვენც და ისინიც ვმოქმედებდით საკუთარ კონფერენციების რეზოლუციის თანახმად და ერთმანეთს მხოლოდ ეს რეზოლუციები განუმარტეთ.

აქედან მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ არავითარი ბლოკი აქ არ ყოფილა. ბლოკი ნიშნავს ვალდებულებას ორივე მხრივ, ხოლო ჩვენ აშკარად ვუთხარით, რომ ხმას მივცემდით თუ ესერი გამოჩნდებოდა.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 5. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ოკნინის მიმართულებით, მარიამობისთვის 4-ს ბრძოლა სლონიკუ-გროზესკისა და სტაკლრიე ვოევობის რაიონებში სწარმოებდა. მდ. სლონიკუს სამხრეთით მტერმა ჩვენი თხრილები დაიჭირა. ფოკშანის ფრონტზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.** სივასის გზატკეცილის ჩრდილოეთით ჩვენ მზვერავებმა მარჯვე თავ-დასხმის შემდეგ 10 ასკერი წამოიყვანეს. ხარპუტის მიმართულებით, პალმურას სამხრეთ რაიონში ჩვენებმა შეტევა დაიწყეს და იუკარი—კაგრისა და ფერუჯადინი მორდოკანის ფრონტზე რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. მოსულის მიმართულებით მარიამობისთვის 2-სა და 3-ში ოსმალებმა ბანთან შემოტევა დაიწყეს და ჩვენ ჯარს უკან დაახევინეს.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 6. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ტბა ნაროჩის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა შემოტევა დაიწყეს სტახოვიცის რაიონში მდებარე ჩვენ თხრილებზე, მაგრამ ძლიერის ცეცხლით გავფანტეთ. დანარჩენ ფრონტზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ოკნინის მიმართულებით მარიამობისთვის 4-ს ღამე გროზესკის სამხრეთით გერმანელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს, მაგრამ ჩვენ ვიგერიებდით. მარიამობისთვის 5-ს მდ. სლონიკუს რაიონში დიდი ბრძოლა სწარმოებდა. საღამოთი ყველა იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ხარპუტის მიმართულებით ოსმალთა უმნიშვნელო იერიშებს ვიგერიებთ. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**ჩინეთმა გერმანეთსა და ავსტრია-უნგრეთს ომი გამოუცხადა**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 4. გარეშე საქმეთა სამინისტროს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩინეთის მთავრობამ გერმანეთსა და ავსტრია-უნგრეთს ომი გამოუცხადა.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 4. მარიამობისთვის 3-ში დაწყობილი მოკავშირეთა იერიში იპრმინის ჩრდილოეთით 9 მილის მანძილზე მთელი დღე კვლავ გრძელდებოდა. ფრანგებმა ზოოდშოტე-დიკსმუდის გზის ორსავ მხრიდან განდევნეს გერმანელები. მარჯვენა ფრთაც ცხარე ბრძოლას განაგრძობდა. განსაკუთრებით მენენისკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთით. გამეორებულ კონტრ-იერიშებით და დიდის ძალებით გერმანელებმა ამ უბანში ჩვენს ჯარს უკან დაახევინეს. განანაწილებელ პუნქტებში უკვე 1,800 ტყვემ გაიარა. მათში 98 ოფიცერია. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა რამდენიმე მძიმე ზარბაზანი. დღეს დილით ლიოსის აღმოსავლეთით წავიწიეთ. ამ უბანში 895 ტყვე ჩავიგდეთ ხელში. მათში 22 ოფიცერია.

**ლონდონი.** მარიამობისთვის 5. ოფიციალი. დანსის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებს ერთხელ კიდევ შემოვერტყით გარს და ცხარე ბრძოლის შემდეგ (ჰავდენე?) და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. წუხელ როგორც ამ რაიონში ისე იპრის აღმოსავლეთით მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა.

**ლონდონი.** მარიამობისთვის 5. იპრის ფრონტზე სტენბეკის მახლობლად მოკავშირეებმა ასპარეზი გავიუმჯობესეთ, გერმანელებს კონტრ-იერიშები არ უცდიათ ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 24 ზარბაზანი მათში რამდენიმე მძიმეც. ლოოსთან ბრძოლით გუშინდელ ასპარეზზედ გავმაგრდით და დანსის აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ. ამ რაიონში 1120 ტყვე ჩავიგდეთ ხელში. მათში 23 ოფიცერია. წუხელ ვერმელს მივაღწიეთ და გერმანელთა თხრილების ორი წყება ჩავიგდეთ ხელში.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენი მფრინავები დიდ მოქმედებას იჩენდნენ. რამდენიმე გაცხარებული შეტაკება მოუხდათ. მათ $6^1/_2$ ტონზე მეტი ასაფეთქებელი მასალა დაუშინეს გერმანელების ბანაკებს, რკინის გზებს და ჰეროდრომებს. ისინი დახმარებას უწევდნენ აგრეთვე ჩვენ ქვეითა ჯარს. იერიშების დროს მტრის ქვეითებსა და არტილერიას უშენდნენ ტყვიას. ჩვენმა მფრინავებმა მტრის 12 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. დაზიანდა 11. ჩვენი 11 ჰეროპლანი არ დაბრუნებულა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მარიამობისთვის 4. ბელგიის ფრონტზე გერმანელები ახალ კონტრ-იერიშებს შეეცადნენ. ჩვენები დიკსმოიდის ჩრდილო აღმოსავლეთით დაჭერილ ასპარეზზე გამაგრდნენ. დრიგრახტენისა და მდ. ბრინბეკის შუა რამდენიმე კუნძული დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 400 ტყვე და ხელთ ვიგდეთ 15 მძიმე ზარბაზანი. კრაონის წინ ზეგ ნზე არტილერია მოქმედებდა. მტერმა რეიმსს 250 ყუმბარა ესროლა. მოკლულია 2. მაასის მარჯვენა მხარეზე კარიერისა და ბეზონკოს ტყის უბნებში დიდი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ბელგიის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** მარიამობისთვის 4. არტილერიამ მოქმედება გააძლიერა დილას, მტერი ბიურხს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. შემდეგ მტერი ბულპენს უშენდა ყუმბარებს. ჩვენმა არტილერიამ მტრის ბატარეები ჩააჩუმა.

**რეზერვების მუშაობა.**

**მომქმედი ჯარი.** მარიამობისთვის 3. იაკობშტ დტის მიდამოებში სარეზერვო ნაწილებში მუშაობა წესიერად სწარმოებს. რეზერვებს ახლა დააწყებინეს ბალახის თიბვა, პურის მკა და ბოსტნების მოკრეფა. საარტილერიო ნაწილებმა საკუთარი საშუალებით დაამზადეს რამდენიმე ათასი ფუთი თივა.

**კონფერენცია ნეიტრალ სახელმწიფოებისა.**

**კოპენჰაგენი.** მარიამობისთვის 3. ჰოლანდიის მთავრობა ფიქრობს მიემხროს იმ აზრს, რომ მოწვეულ იქმნას კონფერენცია ნეიტრალ სახელმწიფოებისა. გაზეთების ფიქრით, პაპის მოწოდება გამოცხადდა არა შესაფერ დროში და ამიტომ უარყოფილი იქნება მოკავშირეთაგან.

**რუმინეთის სახელმწიფო დაწესებულებანი და ხერსონის დემოკრატები.**

**ხერსონი.** მარიამობისთვის 5. რუმინეთის სახელმწიფო დაწესებულებათა გადმოტანამ რუსეთის საზღვრებში გამოიწვია წინააღმდეგობა ხერსონის სარევოლუციო დემოკრატიულ ორგანიზაციების მეთაურთაგან. საგუბერნიო კომისარს იურიცინს აქვს ამის შესახებ შეუწყვეტელი მიწერ-მოწერა და ლაპარაკი ხერსონის დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომ ყოველად მიუღებელია მათი აზრი. იურიცინი დაიკითხა პეტროგრადსაც.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ყაზახთა ყრილობა.**

**ნოვოჩერკასკი.** მარიამობისთვის 4. ატამანის ამხანაგი ბოგაევსკი ლაპარაკობს ყაზახთა კონფერენციის მოწვევის სიძნელეზე. ვიცითო,—სთქვა ბოგაევსკიმ,—რომ ყაზახებს თავისი მცირე ძალით არ შეუძლიათ იხსნან რუსეთი, მაგრამ მაინც შეძლებისამებრ უნდა სთქვან თავისი სიტყვა, გააკეთონ თავისი საქმე და გაიტანონ რეზოლუცია არა სიტყვით, არამედ ცხოვრებაში განსახორციელებლად. როცა ჩვენ გამოგვაქვს რეზოლუციები, ჩვენ ვეყრდნობით რეალ ძალას. ფრონტის წარმომადგენელმა შაპკინმა ამაყად განაცხადა—არ ყოფილა მაგალითი, რომ ყაზახებს უარი ეთქვათ რომელიმე ბრძანების შესრულებაზე, თუმცა ზოგჯერ ფრიად სამძიმო იყო მათთვის ამ ბრძანებათა შესრულება, მაგალითად, თავისიანებისავე წინააღმდეგ მოქმედება. გამოიტანეს რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ერთადერთი ხსნა სამშობლოსათვის მოსკოვის ეროვნული თათბირია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ერთი ხელმწიფების (власть) დადგენა რუსეთშიო. მოსკოვის თათბირისთვის აირჩიეს 10 წარმომადგენელი კალედინის მეთაურობით. მიიღეს წინადადება გაგზავნონ სამ-სამი რწმუნებული ყაზახთა ყველა პოლკებში, რომ განამტკიცონ ისინი მორალურად.

2) დაინიშნოს ეპისკოპოსი ბარონი სიოპი მოგილევის არხიეპისკოპოსად და მიტროპოლიტად;

3) გადაეცეს 3.000.000 მ. კომისარებს, რომლიდგანაც უნდა მიეცეს სესხი ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

4) შეივსოს ხალხის წარმომადგენლებით სამაზრო და საქალაქო სამხედრო ბეგრის საკრებულოები;

5) გადიდდეს რიცხვი სამხედრო ნაფიც თანამსაჯულთა 24—30-მდის;

6) დამტკიცდეს შრომისა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრების პროექტი შემარიგებელ დაწესებულებების;

7) გადაიდვას 31.920 მ. შესანახად იმ კომისიისა, რომელიც იკვლევს ყოფილ სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის მოქმედებას;

8) მიეცეს 980.000 მ. სახალხო სამინისტროს საეკლესიო ინსტიტუტების საჭიროებათათვის.

9) გაფართოვდეს ქალების უფლება სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე;

10) მიღებულ იქმნას წინადადება სარწმუნოებათა სამინისტროს დაარსებისთვის.

11) მიეცეს ნება სიჩვრისა დამხლეველთაგან ჯილდოს მიღების შესახებ ადგილობრივ, სადაც უბედურება შეემთხვა დახლეულს, ანუ სადაც იმყოფება დამხლეველი ამხანაგობა ანუ მისი განყოფილება.

12) შეძენილ იქმნას სახალხო განათლების სამინისტროს საჭიროებისათვის პრინც ოლდენბურგის სახლი მარსის მინდორზე.

13) მიღებულ იქმნას კანონი უკანასკნელ ფასების შესახებ ბინებზე და სხვა შენობებზე.

# მოსკოვის სახელმწიფო თათბირი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 5. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრისაგან თანახმად დროებითი მთავრობის დადგენილებისა, მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე 12—14 მარიამობისთვის მოწვეულ არიან ტელეგრაფს წარმომადგენელნი საერობო კრებათა, საქალაქო საბჭოთა, აღმასრულებელ კომიტეტებისა, შეერთებულ ორგანიზაციებისა, კოოპერატივებისა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტისა, სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებისა, საპროფესიო ორგანიზაციებისა, მუშების და მოხელეთა, მშრომელ ინტელიგენტთა, სამეცნიერო, მეცნიერთა, ეროვნულ, სამხედრო და სხვა ორგანიზაციებისა, სულ 1500 კაცი; სახელმწიფო სათათბიროს სამი არჩევნის დეპუტატებს აქვთ უფლება დაესწრნენ თათბირს მოუწვევლად. შესასვლელ ბილეთებს გასცემენ მოსკოვში 11 და 12 მარიამობისთვის მოწვევის ტელეგრამებსა და ორგანიზაციათა მოწმობის მიხედვით. სახელმწიფო სათათბიროს წევრნი მიიღებენ ბილეთებს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა სიით. მოსკოვის საქალაქო გამგეობამ იკისრა მომზადება თათბირისთვის. მოსკოვის მოგზაურებზე მოწყობილი იქნება ცნობების მომწოდებელი ბიუროები, დამზადებული იქნება საცხოვრებელი ბინები და სასმელ-საჭმელი ზომიერ ფასებში.

პეტროგრადის წარმომადგენელთათვის დანიშნული იქნება საგანგებო მატარებელი. თათბირზე დასწრება ნება-დართულია მწერლების წარმომადგენლებისთვისაც. საერთო სხდომები გაიმართება დიდს სახელმწიფო თეატრში. პირველი კრება გაიხსნება 12 მარიამობისთვის, დილის 1 საათზე, მინისტრ-თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ მინისტრები მოახსენებენ კრებას ცალ-ცალკე ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. 13 მარიამობისთვის მოხდება ორგანიზაციების კრებები, ხოლო 14—წარმოითქმება პასუხები მთავრობის დეკლარაციაზე. განზრახულია მოხსენებანი: შინაგან საქმეთა მინისტრისა, საგარეოსი, სამხედროსი, ფინანსებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და შრომისა.

**დროებითი მთავრობის დადგენილებანი**

**პეტროგრადი,** მარიამობისთვის 5. 1. გადაიდვას 30.000.000 ჯარის კაცთა სადღეღეროდ 1-ლ მაისიდან 1 ენკენისთვემდის;

# კერენსკის სიტყვა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 4. საგუბერნიო კომისრების ყრილობა კერენსკის შემდეგი სიტყვით დაიწყო: უკვე ხუთი თვეა, რაც რუსის ერმა თვითმპყრობელობის უღელი განიგდო და თავისუფლების, ძმობისა და ერთობის ნიადაგზე ჰქმნის ახალ ცხოვრებას. მთელი ეს ხუთი თვე ძველ მთავრობის მიერ დარჩენილ სახელმწიფოებრივ მეურნეობის დარღვევასთან ბრძოლაში გავატარეთ. ეს მძიმე ბრძოლა ჯერ არ ნახულ მთელ ქვეყნიურ ომის დროს გვიხდება, ამასთან დიდი შინაური დაბრკოლებანი გვედობებოდა. ძველ მთავრობის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გაჰქრნენ და რევოლუციონურ მთავრობის ახალ ორგანიზაციების შექმნა დასჭირდა, რომ ადგილობრივ ცხოვრებას წესიერ კალაპოტში ევლო და ადგილობრივი ინტერესები საერთო სახელმწიფო ინტერესებთან განეწკიცებულიყვნენ. ამ ქვეად რუსეთის რევოლუციას და მთავრობას უდიდესი საფრთხე ელის. რუსეთის რევოლუციამ შემუსრა ძველი მთავრობა იმ ღრმა რწმენით, რომ თავისუფალ ერთა ძმობა-ერთობა შესცვლიდა იმ საძულველ მმართველობას. არ შემიძლია ვთქვა, რომ უკუღმა ან და უსინიდისობა, მაგრამ დიდი უმეცრება და მეტად ზერელე გამოცდილება კი გამოიჩინეს სახელმწიფო მმართველობის საკითხებში იმ თავისუფალ ერებმა, ვინც ამ მრისხანე გარეშე მტრის შემოტევის დროს თავისთავს ბედის გასაჰედათ არიან მოწოდებული. დღეს, როდესაც ერთად-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად რევოლუციონურ მთავრობის მტკიცე ერთობის შექმნა უნდა იქმნას აღიარებული. მთავრობა ამტკიცებს, რომ ამ რევოლუციონურ, ძლიერ და ერთიანულ მთავრობის შექმნის დაგვიანება და ანარქია გამოუსწორებელ შედეგებს მოგვიტანს. არავითარი რაინდული ძალღონე აღარ გვიხსნის იმ საშიშელ შედეგებისაგან, რომლებსაც არამც თუ წინასწარ ხედავენ, არამედ, ზოგის აზრით, ამ შედეგებმა უკვე თავი იჩინა. ყველას ინტერესები სახელმწიფოს ხსნის ინტერესებს უნდა ემორჩილებოდეს. არა რეაქციისკენ, არა კონტრ-რევოლუციისკენ, არამედ სახელმწიფოებრივ

შეგნებისა, ცხოვრების ნებისა და უფლებისაკენ მოგიწოდებთ თქვენ. მე მრწამს, რომ ჩემი ამხანაგი შინაგან საქმეთა მინისტრი თქვენთან ერთად აღმოფხვრის იმ კონტრ-რევოლუციონურ თესლს, რომელსაც ანარქია სთესს. ხსნა მხოლოდ ადგილობრივ მთავრობის ისეთ აპარატის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც მცხოვრებს მომენტის შეგნებისაკენ მოუწოდებს და უჭკუოთ და უსინდისოებს კი აიძულებს, რომ ეს შეაგნებინოს და ერის ნების ყოფასა და რევოლუციონურ მთავრობას დაუმორჩილოს. ღრმად დარწმუნებული, რომ ესაა მხოლოდ ერთად ერთი უკანასკნელი მხსნელი, სახელმწიფოს სახელით თქვენ, ამხანაგებო, თავგანწირულ შრომისაკენ. ყველა ის, რაც ამ შრომაში თქვენ ხელს შეგიშლით, მე მას რეაქციასა და კონტრ-რევოლუციას ვუწოდებ, თუნდაც იგი ამა თუ იმ სიტყვებსა, ლოზუნგებსა თუ დემაგოგიურ შეხედულებათ ეფარებოდეს".

კერენსკის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრ აფქსენტიევმა აღნიშნა, თუ რა მძიმე ხვედრი ხვდა მას და საერთოდ მთავრობის ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ზეკაცობრივი ძალ-ღონე, მეგობრული მხრის დაჭერაა. მოსკოვის წარმომადგენელი კიშკინი კომისართა ჯგუფის სახელით მიესალმა კერენსკის სიტყვას და აღნიშნა რომ თანახმად კერენსკის განცხადებისა მტკიცესა და ერთიულ მთავრობას შეუძლიან რუსეთის ხსნაო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა რაქენიაკოვმა კომისარების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების შესახებ ილაპარაკა და ამ საგანზე ახალი დებულებები გააცნო. კიევის გუბერნიის წარმომადგენელმა სუკოვკინმა აღნიშნა, რომ კომისარიატთან საგანგებო საბჭოს დაარსებაა საჭირო. მისი აზრით ამ საბჭოში ყველა უწყებათა წარმომადგენლები შევლენ.

# ეროვნული საკითხი

## კონსტრუქცია უკრაინის მთავარ სეკრეტარიატისათვის

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 4. დროებითმა მთავრობამ უკრაინის მთავარ სეკრეტარიატისათვის შემდეგი დროებითი კონსტრუქცია დაამტკიცა: 1) დამფუძნებელ კრების მიერ უკრაინის ადგილობრივ თვითმართველობის საკითხის გადაწყვეტამდე, მთავარ სეკრეტარიატშია დროებით მთავრობის ორგანოს სახით იარსებოს. სეკრეტარიატი, რადის მიერ წარდგენილი, ინიშნებოდეს დროებით მთავრობისაგან. 2) მთავარი სეკრეტარიატის რწმუნებულობის ქვეშ იმყოფებიან კიევის, ვოლინის, პოდოლის, პოლტავის და ჩერნიგოვის გუბერნიები მოკილევის სურაჟის, სტაროდუბისა და ნოვოზიბკოვსკის მაზრების გარდა. მის რწმუნებულობის ქვეშ შევლენ აგრეთვე სხვა გუბერნიები თუ ის ნაწილები, იმ შემთხვევაში, თუ დროებით მთავრობის დადგენილების მიხედვით შემდგარი საერობო დაწესებულებანი ამას მოისურვებენ. 3) მთავარ სეკრეტარიატი შედგება შინაგან საქმეს, ფინანსების, მიწად-მოქმედების, სწავლა-განათლების, ვაჭრობა-მრეწველობის, შრომის უწყებათა მთავარ მდივნებისაგან და აგრეთვე ნაციონალურ საქმეების და მთავარ მწერლის საქმეების მდივნებისაგან.

ამის გარდა მთავარ სეკრეტარიატთან მის საქმეთა საკანტროლოდ მთავარი კანტროლიორი დაარსდება. იგი მთავარ სეკრეტარიატის სხდომებზე მიიღებს მონაწილეობას და მას გადამწყვეტ ხმის უფლება ექნება. მდივნების რიცხვში 4 მაინც უცხო ტომის უნდა ერიოს. ეროვნულ საქმეთა სეკრეტარიატთან დაარსდება მდივნის 3 ამხანაგის თანამდებობა იმ მოსაზრებით, რომ ყველა ოთხთავ მრავალ რიცხოვან ეროვნებას თავთავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ. 4) მთავარი სეკრეტარიატი უკრაინის ცხოვრების და მის თვითმმართველობის წინაწარ განსაზღრულ საქმეებს განიხილავს, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად დროებით მთავრობას წარუდგენს. მათი განხილვა, დროებით მთავრობასთან წარდგენამდის, ცენტრალ რადასაც შეუძლიან. 5) დროებით მთავრობის რწმუნებულებანი ადგილობრივ თვითმმართველობის საქმეებზე, რომლებიც მე-3 მუხლში ჩამოთვლილ უწყებათა კომპეტენციაში შედიან—მთავარ მდივნების საშუალებით განხორციელდებიან; ამ საქმეების განმარტება საგანგებო დამატებაში იქნება. წინა მუხლში აღნიშნულ ყველა საქმეებზე ადგილობრივი მთავრობის მოხელენი მთავარ სეკრეტარიატს მიმართვენ, სეკრეტარიატი შეკითხვას იქონიებს დროებით მთავრობასთან და მის განკარგულება-ჩვენებებს ადგილობრივ მთავრობას გადასცემს. 7) მთავარი სეკრეტარიატი სახელმწიფო თანამდებობათათვის დროებით მთავრობას უდგენს კანდიდატებს. ისინი მხოლოდ დროებით მთავრობის დანიშვნისამებრ შეუდგებიან თავიანთ თანამდებობას. 8) დროებით მთავრობა პეტროგრადში უკრაინის კომისარს ნიშნავს. მას საშუალებით უმაღლეს დაწესებულებათ და უწყებათ კავშირი ექნებათ სეკრეტარიატთან და მდივნებთან. მისვე საშუალებით გადაეცემა დროებით მთავრობას ყოველივე საკანონმდებლო წინარგანსაზღვრანი და პროექტები უკრაინის ადგილობრივ საქმების შესახებ. 9) უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი და უწყებები თავ-თავიანთ განკარგულებას პირდაპირ აცნობებენ ადგილობრივ მთავრობას. ამასთან ერთად თავიანთ განკარგულებას სეკრეტარიატსაც შეატყობინებენ.

მინისტრ-თავმჯდომარე **კერენსკი.**
იუსტიციის მინისტრი **ზარუდნი.**
პეტროგრადი. 1917 მარიამობისთვის 4.

# ჭლექი ასული

**სონეტი მა—ს**

რა ფერმკრთალი ხარ, მეგობარო! შენი მნახველი
შედგება ერთ წამს და... სექტემბრის დღეს შეადარებს,
„ახ, საწყალიო". დაიკვნესებს, დაიმწუხარებს
და შეგიცოდებს თვით მტერიც კი, შენი მზრახველი,

მე როცა მესმის შენი ნაზი ამონახველი,
ვგრძნობ, რომ ესწრაფვი სასაფლაოს ურაზო კარებს,—
მაგრამ ჩემსავით თვით სიკვდილიც ვერ შეგიყვარებს,
სიკვდილი ტრფობის ერთად ერთი გამომსახველი.

მაგრამ ვინ იცის! შენ ჩემზე წინ, შენ ჩემზე ადრე,
თახთახ სუდარით თუ მობურე, თუ მოიჩადრე
ეგ სათნო სახე! ლმობიერი ეგ შენი სახე:

გემუდარები—რომ არ ვგრძნობდე იქ თავსა ობლად,
შენსა საფლავთან, მეგობარო, შენსა მახლობლად
ერთი ადგილი, ვიდრე მოვალ, მეც შემინახე!

**არმან.**

# ფინლიანდია და რუსეთი

**სტახოვიჩის მოხსენება და დროებით მთავრობის დავალება**

**პეტროგრადი.** მარიამ. 4. დროებით მთავრობის სხდომაზე ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა სტახოვიჩმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა ფინლიანდიის მდგომარეობის შესახებ. მან არ დამალა, რომ თუმცა გაფიცვა დასრულდა, მაგრამ მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ამბოხება სურსათის ნიადაგზე დაიწყო. განმარტა რომ უკვე მომხდარი ამბები მოიხსენია გაფიცვულ კომიტეტის მოთხოვნილებანი და თავისი პასუხი, მან აღნიშნა, რომ იგი იმედს არ ჰკარგავს ფინეთსა და რუსეთს შორის კვლავ კეთილი განწყობილების დამყარებაზე. მას სწამს რომ სახელმწიფოებრივ საკითხებს კვლავ თანხმობით გადაწყვეტენ. მოისმინა რა დროებით მთავრობამ სტახოვიჩის მოხსენება, დაავალა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს, რომ იგი ძალით წინაღდგომოდა იმ გაცხარებულ აგიტაციას, რომელსაც სეიმის მოწვევად აწარმოებენ ფინლიანდიაში. აგრეთვე აკრძალულ უნდა იქნას ყოველივე გაფიცვები, რომლებიც რუსეთის სამხედრო ინტერესებს შეეხება. საჭიროა რომ ფინლიანდიის მასამ ნათლად შეიგნოს, რომ სეიმის დათხოვნა კონტრ-რევოლუციონური აქტი კი არ არის, არამედ დროებით მთავრობის უფლების აღდგენა, რომელიც დათხოვნილ სეიმმა დაარღვია.

### ამბოხება ჰელსინგფორსში

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 5. გუშინ საღამოს სერიოზული უწესოება მოხდა. საღამოს 6 საათზე ქალაქის რწმუნებულების სხდომის დროს, რომელზედაც უმუშევართა სამუშაოს საკითხს იხილავდნენ, ბირჟის შენობის მახლობლად, სადაც სხდომა სწარმოებდა, უმუშევართა დიდი ბრბო შეიყარა. მათში იყვნენ აგრეთვე ჯარისკაცები და მეზღვაურები. ბრბოს გამვლელებიც უერთდებოდნენ, ასე რომ მალე ქუჩები მთლად ხალხით აივსო. ცხენოსანი მილიციონერები შეეცადნენ ბრბოს გაფანტვას, მაგრამ რევოლვერებით შეიარაღებულ მეზღვაურებმა შეუშინეს. ერთი ჯგუფი, რომელშიაც ჯარისკაცები და მეზღვაურებიც ერივნენ შეცვივდნენ ბირჟის შენობაში, შეიჭრნენ დარბაზში, სადაც სხდომა იყო და ისეთი მოთხოვნილებები წარუდგინეს ხმოსნებს, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო. მაშინ ხმოსნები დატყვევებულად გამოაცხადეს და ამასთან ყველა გამოსასვლელი კარები დაიჭირეს. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ხმოსნები ღამის პირველ საათამდე. როდესაც ქუჩებში ხალხი შემცირდა მილიციონერებმა და შეიარაღებულ სტუდენტების და ბურჟუაზიულ ახალგაზდათა ჯგუფმა მიუხედავად დიდ წინააღმდეგობისა მთლად გაჰფანტა ბრბო და გაანთავისუფლა ხმოსნები. ერთი საათის შემდეგ ბრბო კვლავ გარს შემოერტყა საპოლიციო გამგეობის შენობას, სადაც მილიციონერები შეეფარნენ. მდგომარეობა მეტად გართულდა. წესიერება მხოლოდ მაშინ-ღა ჩამოვარდა, როდესაც მილიციონერებმა რამდენჯერმე ცხარე სროლა აუტეხეს. არიან დაჭრილებიც.

### მეამბოხენი და აღმასრულებელი კომიტეტები

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 5. გამოირკვა, რომ გუშინდელ ამბოხებაში შეუკავშირებელ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ჯგუფი იღებდა მხოლოდ მონაწილეობას. დემოკრატიის აღმასრულებელმა კომიტეტებმა გაიგეს რა რომ ამბოხებაში ჯარისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაშინვე შესაფერი ზომები მიიღეს წესიერების აღსადგენად.

### საბიუჯეტო კომისიის სხდომები

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 4. სეიმის საბიუჯეტო კომისიის სხდომები ჩქარის ტემპით მიმდინარეობენ. გუშინდელ საღამოს სხდომაზე სახალხო განათლების და გზების ხარჯთ-აღრიცხვა განიხილეს. მზადდება მოხსენება ფინლიანდიის ხაზინის მდგომარეობის შესახებ 1913, 1914 და 1915 წლებში. მეტად მნიშვნელოვანი ხარჯთ-აღრიცხვები კვირის ბოლოსთვის გადიდო, რომ სენატი მომავალ კვირის დამდეგს შეიკრიბოს. სენატორ ტოკაიმ დღეს გენერალ-გუბერნატორს დეპეშით სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე თავმჯდომარეობის თანამდებობის მოხსნა აცნობა.

### ს.-დ. სენატორების გადადგომა

**ჰელსინგფორსი.** მარ. 5. გადადგა კიდევ 2 სენატორი-სოციალისტი. სენატში რჩება მხოლოდ ერთი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. კრიზისის გადაწყვეტა გადატანილია ორშაბათისთვის.

### დაჭრილთა რიცხვი

**ჰელსინგფორსი.** მარიამ. 5. გამოირკვა, რომ ღამის უწესოების დროს დაიჭრა 12. ძალიან დაშავებული არავინ არის, რადგანაც მილიცია მოქმედობდა მარტო ჯოხებით და თუ ისროდნენ—ჰაერში.

### მიტინგი სენატის მოედანზე

**ჰელსინგფორსი.** მარ. 5. დღეს სენატის მოედანზე გაიმართა მიტინგი წუხანდელ ამბის გამო. გაისმოდა უკმაყოფილების ხმები მილიციისადმი, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა.

### ს.-დ. გაზეთის აზრი

**ჰელსინგფორსი.** მარ. 5. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ტიომიესი" ჰკიცხავს წუხანდელს უწესოებას და მიაწერს მათ მხოლოდ მუშების გამოუცდელ ახალგაზდებს. გაზეთი ურჩევს მუშებს მოიქცნენ უფრო თავდაჭერილად და გონივრად.

### ტოკაის გასვლის გამო

**ჰელსინგფორსი.** მარიამ. 5. მცოდნე წრეებში ტოკაის წასვლას ბუნებრივად სთვლიან, რადგან სენატის წევრებთან მას დამოკიდებულება მეტად გაუმწვავდა და ამასთან გამოირკვა, რომ ახალ სენატის შედგენა აუცილებელი გახდა. მის ამ ბოლო დროის მოქმედებას თვით ზოგიერთ (სოც.-დემოკრატების?) ნაწილებსაც კი არ მოსწონდათ. საერთოდ სოციალისტურ სენატის შედგენა საეჭვოა. მდგომარეობა მეტად რთულდება.

### ვრედეს რჩევა

**ჰელსინგფორსი.** მლადოფინების, სტაროფინების და შვედელთა პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებში ყოფილ სენატორ ვრედეს წერილია დაბეჭდილი. წერილი რუსეთთან შეთანხმებას უჭერს მხარს. იგი ურჩევს, რომ საერობო დეპუტატთა კანდიდატების სიებში ბურჟუაზიის წარმომადგენლები არ მოჰყვნენ.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **ბარათები პურზე.** დღეიდან სასურსათო კომიტეტში შეიძლება მიღება პურის ბარათების. როგორც ამბობენ დღიური ულუფა ადამიანზე გირვანქა ნახევარი პური იქნება.

◆ **თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები თავდაცვის პოლიტიკას იცავენ.** სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმ. კომიტეტს გამოუგზავნა რეზოლიუცია სახელმწიფო თავდაცვის შესახებ. ამის გამო თბილისის მ. და ს. საბჭოების აღმ. კომიტეტმა საგანგებო კრებაზე დაადგინა ერთხმად შეუერთდეს პეტროგრადის აღმ. კომიტეტის რეზოლიუციას და მოითხოვოს სამშობლოს თავდაცვა.

◆ **წოდებრივი დაწესებულებანი.** პეტროგრადიდან გვატყობინებენ, რომ დროებით მთავრობამ შეუძლებლად სცნო წოდებრივ დაწესებულებათა გაუქმების გადადება. ამ საკითხის გადასაწყვეტად დადგენილია საგანგებო კომისიის შედგენა.

◆ **ალექსანდრეს ბაღი.** მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დადგენა—ამიერიდან ალექსანდრეს ბაღი იკეტებოდეს ღამის 11 საათზედ. თერთმეტის ნახევარზე ნიშანს მისცემენ და ბაღში მყოფთ სახლში წასვლას მოაგონებენ. თერთმეტ საათზედ კი ბაღს დაკეტენ. ვინც განსაზღვრულ დროს შემდეგ ბაღში მოჰყვება, ის პასუხისგებაში იქნება მიცემული.

◆ **ზუგდიდის დეპუტაცია რკინის გზის საქმისათვის.** ზუგდიდიდან გვწერენ ტელეგრამით: წამოვიდა ქ. ზუგდიდის დეპუტაცია, რომ იშუამდგომლოს შავი ზღვის პირის რკინის გზის სადგურის ქალაქზე დაახლოვებისათვის. ამას ითხოვს მთელი მაზრის ინტერესი და ამიტომ მოელიან საქმის სამართლიანად გადაწყვეტას, რკინის გზის კანტორის წინ ორჯელ განძრახული დიდი დემონსტრაცია შევაყენეთ. იმედი გვაქვს, რომ ძველი მთავრობისგან გათელილი უფლება ხალხისა და ქალაქ ზუგდიდისა აღდგენილი იქნება ახალ მთავრობისაგან. თავმჯდომარე აღმასრულებელ კომიტეტისა ლატარია.

◆ **ფულის გაგზავნა.** საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ განყოფილებიდან ახალციხის განყოფილებას გაეგზავნა 1500 მ. ხოლო არდაგანისას 1000 მანეთი.

◆ **ახალციხის ქართული საქვ. საზ. ახალი გამგეობა.** თბ. საქვ. საზ. დასათვალიერებლად გაგზავნა ახალციხეში რწმუნებული, რომელმაც დაათვალიერა ახალციხის ქართ. საქველმოქმედო საზ. განყოფილება და საჭიროდ დაინახა მისი გამგეობის ხელახლად არჩევა. ახალ გამგეობაში შედიან: თავმჯდომარედ—ალ. აზნაურაშვილი, მის ამხანაგად ჭინჭარაძე, მდივნად დურგლიშვილი და ხაზინადრად ბეგიშვილი.

◆ **იტალიეთის კონსულის გაქურდვა.** იტალიეთის კონსული კავკასიაში ლორენცოვალერი მარიამობისთვის პირველ რიცხვებში გაუქურდავთ. წაუღიათ იშვიათი ძველებური სამხედრო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და სხვა ნივთები ღირებული 3000 მ. ამის გამო გაფაციცებითი გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ქურდების კვალისთვის ჯერეც ვერ ვერ მიუგნიათ.

◆ **სახელმძღვანელო წიგნები ქართულად.** იბეჭდება სეით იაშვილის „საზოგადო გეოგრაფია" და „ბუნების მეტყველება" სკოლების ნაციონალიზაციის გამო. დასავლეთ იმერეთიდან ამ წიგნების მოთხოვნილება დიდია.

◆ **ქურდობა.** მკათათვის 30, ქვაშვეთის ქუჩაზე. № 26 სახლიდან ნ. ცაგარელს მოჰპარეს საოჯახო ნივთები ღირებული 1640 მ.

◆ **კაცის მოკვლა.** მარიამობისთვის 3, ორთაჭალაში ქეიფობის დროს გიორგი გელეიშვილმა სასიკვდილოთ დასჭრა ვას. ლეპეშკინი. დაჭრილი საავათმყოფო № 49 წაიყვანეს, მაგრამ გზაშივე გარდაიცვალა. მკვლელი შეპყრობილია.

◆ **კარაკლისის რკინის გზა.** თბილისის სამხედრო შტაბმა კარაკლის-მილიაზგერტ-ახლარტის რკინის გზის გაყვანა დაავალა სამხედრო სამრეწველო კომიტეტს.

◆ **მასწავლებელთა კურსები სოხუმში.** სოხუმში იხსნება ქართველ მასწავლებელთა კურსები. ხელმძღვანელად იგზავნება თბილისიდან ვარლამ ბურჯანაძე.

## კავკასია

◆ **პიროვნების მოწმობათა საჭიროება.** თანახმად კავკასიის ლაშქრის ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო საბჭოს შუამდგომლობისა—ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ამ წლის მკათათვის 31 სხდომაზე დაადგინა: გამოეცხადოს ამიერ-კავკასიის მოქალაქეთ, რომ მათ მუდამ თან ჰქონდეთ პიროვნების მოწმობები თუ პასპორტები. ამასთან მამრობით სქესის პირთა მოწმობებზე აღნიშნული უნდა იყოს თუ მის პატრონს რა დამოკიდებულება აქვს სამხედრო ბეგარის მოხდასთან.

## ქუთაისი.

◆ **სკოლების ნაციონალიზაცია.** კლასიკურ და რეალურ სასწავლებელთა მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების წრემ დაადგინა: მომავალ სამოსწავლო წლიდან სასწავლებლებში პირველ ოთხ კლასამდე სწავლება იყოს სამშობლო ენაზე.

# ა. ჩხენკელის დეპეშა კომისარებს და სხვ.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრმა აკ. ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა გუბერნიის, სამაზრო და საქალაქო კომისრებს—ბრძოლა ანარქიის და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ არის ერთად ერთი საშუალება, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას უხერხულ მდგომარეობიდან. ბრძოლა კი შესაძლებელი არის მაშინ, როდესაც ძალები შეკავშირებულნი არიან. ამიტომ აუცილებელია რომ დროებითი მთავრობა 3 მკათათვისა და შინაგან სამინისტროს მართველობის შემადგენლობა ემყარებოდეს დემოკრატიულ ორგანიზაციას. ამიტომ დროებით მთავრობის ესა თუ ის ბრძანება, აუცილებლივ უნდა სრულდებოდეს კომისრების მიერ. არავითარ თვითნებობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თორემ ცხადია, თვითნებობა დაღუპავს ქვეყანას. კომისრები, რომელნიც არ ემორჩილებიან დროებით მთავრობის ბრძანებას და რომელნიც თავიანთ სურვილზე იმოქმედებენ—დაისჯებიან კანონის ძალით და სამსახურიდან დათხოვნილ იქნებიან.

# სწავლის დაწყება თბილისის სემინარიაში

თბილისის სემინარიაში ახალი ობერ-პროკურორისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: „სწავლის დაწყება პირველ სექტემბრამდის უნდა გადაიდოს"-ო. სემინარიის მმართველობამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ 1) რადგანაც სემინარიის შენობა ჯერ კიდევ დაკავებულია სამხედრო საჭიროებისათვის, რის გამო ის იძულებული იქნება ოქტომბრამდე შენობა და ამისთვის კი იმას ამ ჟამად არავითარი საშუალება არ მოეპოვება; 2) სემინარიის საკითხი ჯერ კიდევ გამოურკვეველია და არც გამოირკვევა, სანამ მთავრობისაგან დანიშნული გამმიჯვნელი კომისია მუშაობას არ დაიწყებს; 3) გამიჯვნამდე სწავლის დაწყება გამოიწვევდა სემინარიაში ახალ მიღებულთა შორის რუსის ეროვნების შეგირდების მიღებასაც და უცხო ტომთა გამრავლებას, რაც სემინარიის საკითხს გაართულებდა და მის გამიჯვნის საქმეს უფრო გაძნელებდა; 4) სწავლის დაწყება ძველს პირობებში, რაიმე ცვლილების შეუტანლად, რისთვისაც საჭიროა ქართულ ეკლესიის კრების ხმა და აზრი, მოუხერხებელია,—დაადგინა: ახალი სამოსწავლო წელიწადი დაწყებულ იქნას პირველ ოქტომბერს, რა დროისთვისაც ყველა ზემოაღნიშნული გარემოება, იმედი უნდა ვიქონიოთ, გამოირკვევა. ამნაირად, მისაღები და განმეორებითი ეგზამენები სემინარიაში პირველ ოქტომბრამდის არ მოხდება.

# სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება*)

**საქარ. ეკლ. დროებ. მართველობა.**

1. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის პირველი კრება დაიწყება პარასკევს რვა სექტემბერს 1917 წ. ქ. თბილისში.

**შენიშვნა:** კრების წევრნი უნდა დაესწრონ წირვას სიონის ტაძარში.

2. კრების საგანია: საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევა.

3. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე. წევრებად ითვლებიან წარმომადგენლები (დეპუტატები) ერისა, სამღვდელოებისა და ბერმონაზონებისა.

4. კრების წევრნი და მათი ამომრჩეველნი, განურჩევლად სქესისა უნდა იყვნენ არა ნაკლებ ოცი წლისა.

5. კრების წევრად შეიძლება არჩეულ იქნას, როგორც მამაკაცი, აგრეთვე დედაკაცი.

6. საარჩევნო ერთეულად ითვლება საეკლესიო ოლქი (საბლაღოჩინო-საკრებულო), რომელიც გზავნის საეკლესიო კრებაზე სამ წევრს (დეპუტატს) ორს ერის კაცს, ხოლო ერთს სამღვდელოს.

**საქართველოს ეკლესიის**
**დროებითი მართველობა.**
(გაგრძელება იქნება)

*) წინად შედგენილი და დარიგებული საარჩევნო წესები ამით გაუქმებულია.

# დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

## დროებით მთავრობის დადგენილება

თავი II.

### საარჩევნო უფლება

3. დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ყველა იმ ორთავე სქესის მოქალაქეთ, რომელნიც კი არჩევნების დღეებამდის 20 წლისანი შესრულდებიან.

**შენიშვნა:** არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე იმ სამხედრო პირთაც ვინც არჩევნების დღეებში იმ ხნისა ხდება, რა ხნისანიც ამ უკანასკნელად ვადაზე ადრე გაწვეულნი პირნი იყვნენ.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: კანონიერ წესით ჭკუაზე შემცდარად, ანუ შეშლილად და აგრეთვე სხვათა მზრუნველობაში მყოფნი ყრუ-მუნჯნი.

5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ერთმევათ:

1. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით დასჯილებს, თუ მათ ადრევე არა აქვთ აღდგენილი სრულ უფლებიანობა.

ა) კატორღით დასჯილებს, სასჯელის მოხდიდან 10 წლის განმავლობაში.

ბ) გადასახლებულებს, ტუსაღების გამოსასწორებელ განყოფილებაში და გამოსასწორებელ სახლებში ჩასმულებს, სატუსაღოში თუ ციხეში მყოფთ, და უფლება აყრილთ, ანუ უფლებაშეზღუდულთ—სასჯელის მოხდიდან 5 წლის განმავლობაში.

2) ქურდობისათვის დასჯილებს, ისეთებს გარდა, ვინც დანაშაულობისათვის მომრიგებელ მოსამართლისაგან სასჯელთა წესდების 171 მუხლის მე-2 პუნქტით არიან დასჯილები (კანონთა კრებული მე-15-ე ტომი 1914 წ. გამოცემა) ვერაგობისათვის და ჩაბარებულ ქონების მისაკუთრებისა და გაფლანგვისათვის დასჯილებს, იმ გაფლანგველთა გარდა, ვინც ამავ წესდების 177 მუხლის მე-2 ნაწილის და სისხლის სამართლის და გამოსასწორებელ სასჯელთა დებულების 1681 მუხლის მე-2 ნაწილის (1912 წ. გამ.) ძალით არიან დასჯილები, (კან. კრებ. მე-15 ტომი), აგრეთვე მათ, ვინც მოტაცებულის გადამალვისთვის არიან დასჯილები, მათ, ვისაც ხელობად გადაქცევია გირაოების აღება და აშკარა ნაქურდალის ყიდვა, ვინც დასჯილია მოტაცებისათვის, მევახშეობისათვის, სიყალბისათვის, მექრთამეობისათვის, ქრთამის მიცემისათვის, გარყვნილობისათვის და გამოუსადეგრობისათვის დასჯილებს (კან. კრებ. ტ. მე-15, სისხლ. სამ. დებულებანი, გამ. 1909 წ. მე 524—526, $526^1$, 527 და 529 მუხლები) და აგრეთვე საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში განზრახ ხელის შემშლელებს—სასჯელის მოხდიდან 3 წლის განმავლობაში.

3) სასამართლოს განმარტებით ვალის გადახდის ვერ შემძლებლად ცნობილებს და ბოროტ-გამზრახველობით გაკოტრებულებს—3 წლის განმავლობაში დღიდან სასამართლოს დადგენილებისა.

4) თავის ნებით ჯარიდან წამოსულ სამხედრო მოსამსახურეთ (დროებით მთავრობის დადგენილება 1917 წ. მაისის 26, კანონთა კრებული 683

მუხლი, და ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი 1917 წლის მაისის 31 — № 17) იმათ გარდა, ვინც საარჩევნო სიების საჩივრების განახლებამდის ან შესაწყნარებელ მოწმობას წარადგენენ, ან დანაშაულის სამსახურში მხნეობით გამოსყიდვებს, ან და სასამართლოდან გასასამართლებელ განაჩენსა თუ ისეთ სასჯელის მოწმობას წარუდგენენ, რომელიც მას უფლებას არ უსპობს.

6. არჩევნებში მონაწილეობის უფლები ეყრებათ აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთ, რომელნიც კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებით დამნაშავეებათ არიან ცნობილნი იმ მოქმედებებში, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 162 მუხლის ნაწილი და 163 მუხლი. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. წიგნი 22, გამოც. მე-4) და სასჯელთა საზღვაო წესდების 162 მუხლის მე-3-ე ნაწილი და 163 მუხლი (საზღვაო დადგენილებათა კრებული წიგი 16 გამოც. 1915 წ.) შეეხება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეყრებათ აგრეთვე იმ მოქმედებებში დაწნაშავეთ, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 165[1] მუხლი და სასჯელთა საზღვაო წესდების 165, მუხლის შენიშვნები იხილავენ, იმ შემთხვევაში თუ დამნაშავე თავის ნებით არ შეავსებს თავის მიერ გაფლანგულსა და დახარჯულს. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. 22 წიგნი გამოცემა მე-4, 168 მუხლი და საზღვაო დადგენილებათა კრებული წიგნი 16 გამოც. 1915 წ. 167 მუხლი) ან და სასჯელის გადახდიდან 3 წელიწადი არ გასულა. იმ სამხედრო პირებს, რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი ომის გათავებამდის აქვთ გადადებული, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ერთმევა.

7) საარჩევნო უბნის თვითეულ არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოდ უბნის საამომრჩევლო სიაში შეტანილ პირებს აქვთ.

8) არჩევნებში მონაწილე პირებს უფლება აქვთ ამორჩეულნი იყვნენ თვითეულ საამომრჩევლო ოლქში, თუნდაც ის სხვა ოლქის საარჩევნო სიაში სულაც არ ინიშნებოდნენ.

9) არჩევნებში არ დაუშვებენ იმ საამომრჩევლო სიებში შეტანილებს, რომლებიც არჩევნების დროს საამომრჩევლო უფლებას დაჰკარგავენ (მე-4 და მე-6 მუხლი) და აგრეთვე ისინი ვინც ნაჩვენებ დროისთვის თავისუფლება აყრილნი იქნებიან ან კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენებით ან და რომელიმე დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ დატუსაღებით.

10) რუსეთის ყოფილ მეფის სახლის წევრები ვერც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას და არც მათი არჩევა შეიძლება დამფუძნებელ კრებაში.

## აგრარული მოძრაობა კავკასიაში

### ამიერ-კავკასიის კომიტეტის ცირკულიარი საგუბერნიო და სამაზრო კომისარებისადმი

გიგზავნით ამასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარს. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს აუწყებს, რომ ამიერ-კავკასიაში მოხდა შემთხვევები გლეხების მიერ მემამულეთა მიწების მისაკუთრებისა, რომ გლეხები აღარ აძლევენ მესაკუთრეთ ხვედრ იჯარას, რომ მრავალ ადგილას ჩეხენ ტყეს, და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რამდენიმე კუთხეში, წინააღმდეგ დროებითი მთავრობის და ადგილობრივი უმაღლეს მართველობის დადგენილებისა დაარსებულ იქმნა მიწის კომიტეტები, რომლებიც აწესებს იჯარის რაოდენობას, და რომ გლეხები არ უცდიან მიწის საკითხის გადაჭრას საკანონმდებლო დაწესებულებაში და თავისებურად მოქმედებენ. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ:—1) გაავრცელეთ ყველა სოფელში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი და მოწოდება ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებისადმი. 2) მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები, რომ მომავალში აღარ მოხდეს ძალით მითვისება მიწის და წყლისა. 3) დაისაჯონ სასტიკათ დამნაშავენი. 4) შეჩერებულ იქმნას მოქმედება უკანონოთ არჩეულ მიწის კომიტეტებისა. 4) მოუწოდეთ მცხოვრებლებს, რომ სანამდი დამფუძნებელი კრება გადასწყვიტავს მიწის საკითხს, ხვედრი გადასახადი შეტანილ იქმნას სადეპოზიტო ბანკებში. 6) გამოუცხადეთ მცხოვრებლებს, რომ ადმ. კომიტეტების მიერ ახლო მომავალში არჩეულ იქნება მიწის კომიტეტები — სათემო, სამაზრო და საგუბერნიო, რომელნიც დააარსებენ მომრიგებელ კამერებს. 7) აუწყეთ სოფლელებს, რომ დაუმუშავებელ მიწის საკითხებს სწყვეტს სათემო მიწის კომიტეტი შეთანხმებით ადგილობრივ სასურსათო კომიტეტთან.

## ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებს

ამიერ-კავკასიის მრავალ კუთხიდან ცნობები მოდის, რომ სოფლელები არ უცდიან-რა დამფუძნებელ კრების მიერ მიწის საკითხის გადაჭრას, ახლავე მოჰყავთ სისრულეში გლეხთა ყრილობის დადგენილებანი იჯარის გაცემის, მემამულეთა ექსპლოატაციის შესახებ, ხოლო რამოდენიმე ადგილას კი მემამულეთ მიწები მთლად ჩამოართვეს და თავის შორის გაიყვეს; ჩეხენ ტყეებს და სხვ. თუმც ამ სამარცხვინო მოვლენას ღრმად არ გაუდგამს ფეხი ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი წინ და წინვე აფრთხილებს გლეხობას და კვლავ აუწყებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრის უფლება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის. ამისთვის კი აუცილებელია შეიკრიბოს ადგილობრივ ცნობები მიწის სივიწროვის შესახებ და ამრიგად დავამზადოთ ამ საკითხის გადაჭრა: ამ მიზნისთვის ამიერ-კავკასიაში დაარსებულია სათემო მიწის კომიტეტი და არსდება, თანახმად 21 მკათათვის 1917 წ. დადგენილებისა, ადგილობრივი საგუბერნიო, სამაზრო და სათემო კომიტეტები, რომელთაც მოვალეობა არის ცნობების შეკრება და სადავო საკითხების გადაჭრა.

მხოლოდ ამ სახით შეიძლება ნიადაგი მოვუმზადოთ და გადავსწყვიტოთ მეტისმეტად რთული საკითხი. შეცდომა არის ვიფიქროთ, რომ თითოეულ გუბერნიას, მაზრას და სოფელს შეუძლიან გადაჭრას მიწის საკითხი თავისებურად. დიდი უბედურება ეწვევა ჩვენს ქვეყანას თუ არ დაუცდით დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებას.

ამიერ-კავკასიის კომიტეტი.

## მოსკოვის უნივერსიტეტი

მომავალ სასწავლო წლიდან მთლად შეიცვლება სტუდენტების ძველი ყოფა-ცხოვრება. უნივერსიტეტში ქალებსაც ფართოთ გაუღეს კარები. გიმნაზიებში ქალებს სიმწიფის ატესტატით მიღებულ ყველა ფაკულტეტებზე მიიღებენ. თუმცა, ქალები ვაჟების მიღების შემდეგ დარჩენილ ვაკანსიებზე იქნებიან მიღებულნი, (იხილეთ სწავლა-განათლების სამინისტროს ცირკულარი 1917 წ. თიბათვის 13-ის თარიღით), მაგრამ პრინციპიალურად ქალებს სრული გამარჯვება ჰხვდათ. ნამდვილად კი ამას მარიამობისთვის ბოლოს შევიტყობთ. თხოვნებს მაშინ გაარჩევენ.

ქალების გარდა უნივერსიტეტში უკვე დაუბრკოლებლივ მიიღებენ ალექსანდრეს ლიცეუმი ანდა სამართლის სასწავლებლებში ოთხკლასს დამთავრებულნი. სასულიერო სემინარიების ოთხკლასს დამთავრებულნი და 1915 წელს ვარშავის ოლქში საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულნი პოლონურ ენაზე და გამოსაშვები გამოცდებს სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლის დასწრებით ჩამბარებელნი. უნივერსიტეტში მიიღებიან აგრეთვე გერმანიაში და ავსტრიაში საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულები და აგრეთვე ყოფილ ვარშავის საგენერალ-გუბერნატორო გუბერნიების საშუალო სასწავლებლებში პოლონურ ენაზე კურს დამთავრებულნი ოღონდ მათ უნდა ჩააბარონ გამოცდები: რუსულში, რუსულ ლიტყვიერებასა და ისტორიაში და რუსეთის გეოგრაფიაში, რაოდენადაც უნდა საშუალო სასწავლებლის კურსის მიხედვით.

დასასრულ უნივერსიტეტის სტუდენტებად მიიღებიან ყველა ისინი, ვინც კი დამატებით გამოცდებს ჩააბარებენ და შესაფერ მოწმობებს მიიღებენ. უნივერსიტეტში მისაღებად ლათინურ ენის დამატებითი გამოცდა უნდა ჩააბარონ: რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა, გატჩინის ობოლთა ინსტიტუტელებმა საკადეტო კორპუსის მოწაფეებმა, საზღვაო კადეტების კორპუსელებმა და კომერციულ სასწავლებლის მოწაფეებმა (7 კლასიან კომერციულ სასწავლებლის მოწაფეთ ლათინურის გარდა 8 კლასიან სავაჭრო [illegible] ნაზიის მოწაფეებთან თანასწორად რუსულ ენაში, სიტყვიერებაში ისტორიაში და ანგარიშში უნდა ჩააბარონ გამოცდები.

ბალკანის ნახევარ კუნძულის სლავიანურ მიწების აბიტურიენტები გამოცდას ჩააბარებენ: რუსულში, სიტყვიერებაში, ისტორიაში და რუსეთის გეოგრაფიაში.

სამოსწავლო ინსტიტუტის კურს დამთავრებულები — ლათინურსა და ერთ ახალ ენაში სახალხო განათლების სამინისტროს უწყების 7 კლასიან ქალთა გიმნაზიების კურს დამთავრებულები, მარიამ დედოფლის ყოფილ უწყების გიმნაზიების, ინსტიტუტების და აგრეთვე 7 კლასიან ეპარქიალურ სასწავლებლების და მათ მაგვარ სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი ქალები გამოცდას ჩააბარებენ: რუსულში, ფიზიკაში, ანგარიშში და ერთერთ ახალ ენაში.

უნივერსიტეტში მიღება ასეთი ფართო წესებით აიხსნება, რომ უნივერსიტეტს უკვე აუარებელი ახალგაზდობა, ნამეტნავად კი ქალები მიაწყდნენ.

## მთავარ-დიაკონ ტიმოთე ბაკურიძის წერილის გამო

„ავსა კაცსა ავი საქმე ურჩევნია სულსა გულსაო“.

ბაკურაძის წერილიდგან, რომელიც მოთავსებულია „ერთობის“ № 91-ში, ჩვენ ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ იგი წინდაწინვე სცდილობს თავიდგან აიცდინოს ის მოსალოდნელი მსჯავრი, რომელსაც, უეჭველია, საზოგადოება დასდებს მას, იმ საქმის გამო, რომელიც მას მიუძღვის ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გარშემო ატეხილ დავი-დარაბის საქმეებში.

იმ დროს, როცა დეკ. დავით იაშვილი ქართველებთან ხელის-ხელ ჩაკიდებული იბრძვის და თავს არ ზოგავს საზოგადო საქმისთვის, ამ დროს ბაკურიძე გაძღენთილი პირადის ანგარიშებით, მას გზას უხერგავს და პოლიტიკან ეპ. გრიგორის ხელს უწყობს და კვერს უკრავს იაშვილის ეკლესიიდგან გაძევებაში*) თუმცა მისს, „გაძევება“ „არ გაძევებასთან მჭიდროთ გადაკავშირებულია თვით ეკლესიის სვე-ბედი. მაგრამ უკეთესია მუხლ და მუხლ გავარჩიოთ მისი ზემორე ხსენებული წერილი, საიდგანაც ნათლად დავინახავთ როგორც მისი გოდების სიმართლეს, აგრეთვე იმას, თუ თვითონ რა ვაჟბატონი ბრძანდება „კარგათ ცნობილი“ ბედის ირონიით მთავარ-დიაკონთა სათავეში მოქცეული. მ. ბაკურაძე, რომელიც ასე კადნიერათ გმობს არა მარტო დეკ. იაშვილს, აგრეთვე მთელს სამღვდელოებას, ერსაც-ბერსაც და ყველას იწვევს „აბა ვინ რა იცის (ჩემზედ) სთქვასო“.

მამაო ბაკურაძე, თქვენ ფიცულობთ თქვენს წერილში „იაშვილმა პირველად მიჩივლაო და ჩემი თავი გოროდცოვს დახმარებით გადაიყვანინა მთავარ - ანგელოზის ეკლესიიდგან კვირაცხოვლისაშიო“ — იაშვილმა, მართალია, თქვენგან თავმობეზრებულმა იჩივლა გოროდცოვთან, როგორც ადგილობრივ ბლაღოჩინთან, ან მე გადამიყვანეთ სადმე, ან ბაკურაძე განმაშორეთო, მაგრამ რასაც სჩივის იგი მას ხელსაც აწერს და არავისთვის დაფარულ დამალული არ არის, არცა ყოფილა; მხოლოდ დასაგმობ-დასაძრახისია თქვენი საქციელი, რომ იმან გიჩივლათ თქვენ 7 ნოემბერს 1916 წ. და თქვენ-კი მალულათ და ფარულათ სიტყვიერათ დაგიბეზღებიათ იაშვილი იმავე გოროდცოვთან ოთხი თვით ამაზე ადრე (20 თიბ. 1916 წ.), რაშიაც, კიტრის ქურდივით. ამ ცოტას ხანში თქვენს უნებლიეთ გამოსტყდით, თქვენი საჩივრების გამოძიების დროს, და წერილობითაც დაამოწმეთ (იხ. კანტორ. საქმე 1916 № 19166) და ამ დაბეზღების შემდეგ, სავსეს ათას ნაირი ცილის წამებით, რაზედაც არ უწყოდა იაშვილმა, თქვენ მასთან ამავე დროს პირმკინრად და მეგობრულად მოგქონდათ თავი. გარყვნილ და ზნეობა დაცემულ ადამიანათ იხსენიებთ წერილში სტარასტა აშეხმანოვს, აგრეთვე სიტყვიერადაც ყველას არწმუნებთ, რომ იგი „პირველი ხულიგანიაო“ და მაშასადამე ეჭვი არა გქონიათ იმის დაბალ პიროვნებაში; მხოლოდ ჩვენ ეს გვაკვირებს, რათ იყავით ისე ახლო მეგობრათ ამისთანა კაცთან მთელი წელიწად ნახევარი, თუ ორი წელიწადი დასდიოდით თქვენ და ის ერთმანეთთან სახლში ოჯახობით, უერმანეთოთ სადღესასწაულო ნაზუქებს არ მიირთმევდით, გქონდათ ერთმანეთთან დიდი გადაღლევა-გადმოღლევა, ვიდრემდის რაღაც საიდუმლობით მოცული განხეთქილება არ მოხდა თქვენს შორის **).

ამის პასუხად ორჯერ-სამჯერ ღვიარეთ კრებებზედ, მინდოდა ეკლესიიდგან სახლის ქირის მომატება და რადგან ვერას გავხდი დაუმეგობრდი აშეხმანოვსაო, რომ გამეგო ვინ იყო ქირის მომატების წინააღმდეგი, მღვდელი თუ სტაროსტაო,—და ნუთუ ამისთანა, (თქვენისავე თქმით) საზიზღარ პირთან იმისათვის გქონდათ ასეთი ხანგრძლივი მეგობრობა და მტკიცე კავშირი, რომ მისთვის ჩამოგეცინცლათ რაღაც 3—5 მანეთი, მერე თქვენ მაგისთანა „ბურჟუაკს“, თუმცა კი „პროლეტარიატ დემოკრატიის“ რეკლამიანს, რომელსაც გაქვთ მარტო თბილისში უძრავი სახლებ-მამული 5 ათას თუმნამდე ღირებული?

ამ ფაქტიდგან, თქვენგანვე დამოწმებულიდგან, აშკარად სჩანს, თუ როგორი პირადი ანგარიშებით და დაბალი საშუალებით მუდამ მოქმედობთ ხოლმე თქვენს ცხოვრებაში...

არ ვიცით, მამაო ტიმოთე, რა „ბნელ საქმეებს“ გულისხმობთ აშეხმანოვისას, რომლებიც „მაგრათ ყოფილან დაკავშირებული იაშვილთან“,— ნუთუ იმას, რომ აშეხმანოვმა, ტომით რუსმა, იმდენი კეთილშობილება იხმარა, რომ მენეშევიჩის კომის აში მიუდგომლად დაადასტურა იაშვილის მოხსენება, შესახებ ავლაბრის ეკლესიისა, რომ იგი ისტორიულათ და ფაქტიურადაც ქართველებს ეკუთვნით და არა რუსეთსაო. (იხ. ოქმები მენეშევიჩ. კომის.) რის გამოც რუსებმა ამისთანა სიმართლის თქმისთვის სრული უნდობლობა გამოუცხადეს და სრულიად განდევნეს იგი არამც თუ სტაროსტის თანამდებობიდან, თავის საზოგადოებიდანაც კი. (იხ. რუსის მრევ. დადგენილებანი 4 და 12 ივნისს ამა წლის) თქვენ კი „ბნელზედ-სპეტაკო“ მ. ტიმოთე, რა სისტორიით შარავანდედი დაიდგით თავზედ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გარშემო დავიდარაბის საქმეებში,—ხომ უწყით—როგორ ჩამდგარიყავით ავლაბრის მოედანზედ რუსების „იბერ ხულიგნების“ შუა და აქეზებ-ასისინებდით: „ათი წელიწადია მაგ ეკლესიაში მიმსახურნია და ჩემზედ კარგად ვინ იცის, რომ ეკლესია მარტო თქვენ, რუსებს, გეკუთვნით და ეგ ქართველი ვაჟბატონები, რომლებიც ეხლა ეპატრონებიან, მე დავუმტკიცებ მათ, რომ არა ზიარებულან და არ არიან მთავარ-ანგელოზის მრევლნიო“.

ავლაბრის ქართველთაგანნი: ზაქარია ხატიაშვილი, იოსებ მოლდაშვილი, ნესტორი სხულუხია და თომა ნასაძე.

(დასასრული იქნება)

*) შენიშვნა: ჩვენ ვგულისხმობთ ბაკურაძის თავმჯდომარეობით და მისი, უეჭველია, პირადი ზეგავლენით თბილელ მთავარ-დიაკონთა დადგენილებას, უმდაბლესათ წარდგენილს ეპ. გრიგორისთან და მათვე გაზეთებში გამოცხადებულს პროტესტს შესახებ მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა, რომელშიაც მთავარ-დიაკონნი აცხადებენ ორპირად: „ვართ“—„არა ვართ“ წინააღმდეგნი იაშვილის დათხოვნისა; ვგონებთ ეს ორპირობა მოხდა ბაკურაძის „სქელი ჯოხის“ გავლენით, როცა იგი „მოსეს კვერთხივით, ანუ ხელებით“ აღიმართებოდა მაღლა „არა ვართო“ იწერებოდა, როცა დაეშვებოდა ძირს „ვართო“.

**) ამის შემდეგ ნაწყენობრალი ბაკურაძე შეიქმნა დაუძინებელი მტერი აშეხმანოვისა, იწყო მასთან შურისძიება თავისი განუყრელი მეგობრის პეტროვსკის დახმარებით, ჩააგდო მთავარ-ანგელოზის მრევლში ალიაქოთი და ჩხუბი, რომელშიაც ძალაუნებლიედ ჩათრეულ იქმნა დეკ. იაშვილიც.

ავტ.

## კორესპონდენცია

### აჭარიდან

მართალია აჭარელმა ბეგებმა და მათმა ამყოლმა ზოგიერთმა ალიებმა თავისუფლების შემდეგ ზურგი გვიჩვენეს, „ქართველებზე“ გაილაშქრეს და მოყვრობის ნაცვლად მტრობაშურის ჩამოგდება სცადეს, მაგრამ მე მაინც აჭარისაკენ მიმიხარია. ვიცი მათ წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, ისიც ვიცი, რომ აჭარლებს „იაღის“ მოყვარულები ეფერებიან, თორემ აჭარელ ხალხს ქრისტიანი ქართველები არც სძულს და არც მათ სდევნის. ჩვენ ვინც გვდევნის, დრო დადგება და მათ თვით ხალხი დაუწყებს დევნას, ადრე თვით ხალხი მიხვდება ვინ იყო მისი მტერი და მოკეთე.

მკათათვის შუა რიცხვებია. ხულოში ნამყოფ მასწავლებლის თანამოგზაურობით მივდივარ ზემო აჭარისაკენ, მინდა ვნახო ჩემი „საყვარელი“ ფუხრა აჭარლები, მინდა ვნახო ჩემ მიერ გაშენებული ფუტკრები. ბათომიდან მეთექვსმეტე ვერსზე იწყება აჭარა (ქედა), აქ პატარა დაბა-სოფელია—აჭარის წყალი. ბევრი კარგი დღეები გამიტარებია აქ... ეი ვახ! ჩემს კარგ ნაცნობებს ველარ ვხედავ, გადახვეწნენ და ვინ იცის დაბრუნდებიან თუ არა. თუ გინდა დაბრუნდნენ რა კაი სანახავს იხილავენ: გაპარტახებული სახლ-კარი, გავერანებული სოფელი, გაცარცული. ჩემს ძველ მეგობართ შორის ვნახე მხოლოდ ყადიმ-აღა ზაქარაძე, შეგნებული მოხუცი, აქაური სკოლის მზრუნველი და მისი დამაარსებელი. მას მისი ცოლშვილით დაუხწევია თავი ოსმალთა ტყვეობისათვის და განადგურებულ ოჯახში მოსულა, მოსულა გულმოკლული, რადგან უფროსი ვაჟი (ბათომის სამოქალაქო სკოლის მოწაფე) იქ დაუტოვებიათ ასკერებს მწყემსად (ქათ ბად) დასჭერდებათო. ყადიმ-აღას თავგადასავალი ფრიად საინტერესოა, ის ერთი ეპიზოდია მებრძოლ მხარეთა თავაშვებულება—უმადურობის დამახასიათებელი, მაგრამ ეგ შემდეგ იყოს. საბრალო მოხუცი მაინც მხნედ არის, თავის ნაამაგარ სკოლას თავს დასტრიალებს, ქართველ ქრისტიანებს მისთვის ადგილი მიუციათ სახერხავ ქარხანაში. ეს ქარხანა აქ ახლად გახსნილია, ერთი შეხედვით გიამება, მაგრამ ის ხომ აჭარის მშვენიერ ტყეს განადგურებას უქადის...

დილის 10 საათია. სკოლისაკენ 5 აჭარელი ყმაწვილი მიცუნცულებს, მიამა და თან გამიკვირდა, ამ დროზე სკოლაში მეცადინეობა. ბედი სკოლის აივანზე, წინ მომეგება მასწავლებელი ქალი ქ. მარ. ჩხეიძის ასული, თავის დედით. ქ. მარიამმა გადმომცა რომ მას ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში შეპირდნენ თუ აქ რულ ბავშებს მოიყვან მივიღებთო და ისიც უსასყიდლოთ, ამ დასვენების დროს ყმაწვილებს ამეცადინებს და ამზადებს. ბარაქალა მასწავლებელო!.. დაე ყველა მასწავლებელი მიხვდეს, რომ ასეთი მუშაობა ყველა პარტიულ საქმეზე მაღლა სდგას...

გავიარეთ მეორე სადგური, ავედით ს. ქედას. სამწუხაროთ ძველი „ყირალის“ (მეფის) დამცველებს ვერც ქედა აჭარლები (ისე როგორც ზედა აჭარლები) ვერ შელევიან—კომისარათ აურჩევიათ ვინმე ხოჯა. ვინ ხოჯა და ვინ კომისარი. მერე კიდევ ისეთი ხოჯა, რომელიც აშკარად ჯაშუშობს და აჭარის დამქცევ იორდანიდის იცავს და მფარველობს. აჭარლებს თავისუფლება ელირსათ და ნუ თუ ისინი არც ახლა მოისვენებიან ხოჯებსა და ბეგებს. როდის იყო ან რომელი ხოჯა და ბეგი იყო აჭარელის სასიკეთოდ რომ იბრძოდა და რამე სახეირო საქმე ეკეთებდა — არასოდეს. სირცხვილია, მგლის ყბას გაშორებულნ და შენ შენის ნებით ისევ მგელს ყბაში უვარდებოდე!.. მივდივართ ზემოთ. სადგურ ხიჭაურამდე (ბათომიდან 64 ვერსია) ჰპირნახული ძლიერ ცუდია. ისე როგორც გურია-ქობულეთში აქაც წვიმებს სიმინდი გაუფუჭებია. კახაბერის ვრცელი და ნაყოფიერი მინდორი გაუმარგლელი დარჩენილა და ყანას ტყე-ბალახი მორევია. სიმშილობა აქაც იქნება. ხიჭაურს მერე მთელ ზემო აჭარაში საარაკო მოსავალი [illegible] ჯერ არ გვინახავს ამ მხარეში. სამწუხაროთ ამ ბოლო წლებში აჭარლები მეტად ეტანებიან თამბაქოს მოყვანას. თამბაქო მიწას ფიტავს და უსიმინდოთაც რჩებიან. უმჯობესია ფულს არ დახარჯდენ და ჯერ კვერს სიმინდზე იფიქრონ.

ვ. წ—ძე.

(დასასრული იქნება)

## სამურზაყანოდან

ივლისის 30. დღეს სამურზაყანოში სამწუხარო ამბები ხდება. ისეთი დღე არ გაივლის, რომ ან ძროხა, ან ცხენი არ მოიპარონ, ამის გამო ყოველ დღე ხდება კრება, რომელზედაც ერთი საზოგადოება მეორე საზოგადოებას აბრალებს ქურდობას. საქმე კი მუდამ გამურკვეველად რჩებოდა. 26 ივლის მოხდა საერთო სამურზაყანოს საზოგადოების კრება სოფელ [illegible]. ამ კრებამ მართლაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას.

აირჩიეს ათის-თავები, რომლებმაც თვალ-ყური უნდა ადევნონ თავიანთ საზოგადოებას.

კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ სამურზაყანოში გაჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ავრცელებენ სოფლად ავტონომიის შესახებ ყოვლად შეუფერებელ ჭორებს, ვითომც ავტონომია ძველი ბატონ-ყმობის აღდგენაა.

საბრალო უსწავლელ სოფლის კაცს სჯერა ეს, რადგანაც არა ჰყავს [illegible], რომ აუხსნას, რომ ავტონომია არა თუ არ არის ბატონყმობა, არამედ ავტონომია ხალხს ანიჭებს შინაურ თავისუფლებას და უკვლევს გზას კულტურული განვითარებისათვის.

მოვუწოდებ ყველა თანამოაზრე ქართველობას გამოაშკარავონ აქ მცოდნე პირები, რომლებიც გაილაშქრებენ ამ ცრუ პროპაგანდისტების წინააღმდეგ.

ი. ბალათურელი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მოძრაობა
([illegible])

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-6, | 11.19 | საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.53 | საღ. |
| ბორჯომიდან | საფ. | № 30, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფადან | საფ. | № 8 [illegible], | 8.10 | დილ. |

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

## კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

## თავზის მრეწველნი
## ძმ. [illegible]

[illegible]

[illegible]